ფრანკოფონიის საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია

ფრანკოფონიის საპარლამენტო ასამბლეა,

- ეყრდნობა რა გაეროს წესდებასა და საერთაშორისო სამართლის სხვა ფუნდამენტურ დოკუმენტებს ;
- ერთგულია რა საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგისა და საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპებისა, მათ შორის, საზღვრების ურღვევობისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებისა;
- მიესალმება რა საერთაშორისო ურთიერთობებში მშვიდობისა და თანამშრომლობის პრინციპების განხორციელებას;
- ითვალისწინებს რა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რომლებიც ადასტურებენ საქართველოს რეგიონების, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპაციასა და ეფექტურ კონტროლს რუსეთის ფედერაციის მიერ და რუსეთს აკისრებენ პასუხისმგებლობას ადგილზე ადამიანის უფლებების დარღვევებზე, ასევე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს 2022 წლის გადაწყვეტილებას, რომელმაც 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიის დროს ქართველთა მიმართ ჩადენილი ომის დანაშაულებისთვის დაპატიმრების ორდერები გასცა;

1) ადასტურებს ფრანკოფონიის საპარლამენტო ასამბლეის წევრთა მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში;

2) გამოხატავს შეშფოთებას რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს რეგიონებში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, რომლებზეც რუსეთი ეფექტურ კონტროლს ახორციელებს, მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვის, უკანონო დაკავებების, საოკუპაციო ხაზის დაკეტვის, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის, ადამიანის უფლებების დარღვევების, ქართველთა წინააღმდეგ ეთნიკური დისკრიმინაციის, მშობლიურ ენაზე განათლების უფლების შეზღუდვის გამო;

3) აღნიშნავს ევროკავშირის შუამავლობით რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების მნიშვნელობასა და საჭიროებას;

4) ხაზს უსვამს რუსეთსა და საქართველოს შორის საერთაშორისო შუამავლობით მიმდინარე ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების გაგრძელებისა და ეფექტიანი გამოყენების მნიშვნელობას რუსეთზე დაკისრებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადასაჭრელად;

5) აღიარებს მოლაპარაკებების ძირითად საკითხებზე ხელშესახები შედეგების მიღწევის აუცილებლობას, როგორიც არის ევროკავშირის შუამავლობით 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებისა და ასობით ათასი იძულებით გადაადგილებული პირისა და ლტოლვილის სახლებში უსაფრთხო და ღირსეული

დაბრუნების თაობაზე, რათა მიღწეულ იქნას გრძელვადიანი მშვიდობა და უსაფრთხოება;

6) გმობს ამ კონფლიქტში ქალების და გოგონების მიმართ ძალადობას, მათ შორის სექსუალურ ძალადობას და მოუწოდებს დასრულდეს დაუსჯელობა ამ დანაშაულების ჩამდენი პირების მიმართ;
7) მიესალმება საქართველოს მთავრობის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკას, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს და მიმართულია, ერთი მხრივ, რუსეთის მიერ საქართველოს ორი რეგიონის დეოკუპაციისკენ და, მეორე მხრივ, საოკუპაციო ხაზით გაყოფილი ადამიანების შერიგებისა და ჩართულობისკენ;

8) მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, მოახდინოს საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დეოკუპაცია და გააუქმოს მათი ე.წ. დამოუკიდებლობის უკანონო აღიარება;